განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა

შეფასების თარიღი
13 დეკემბერი, 2017
დასკვნის წარდგენის თარიღი
26 დეკემბერი 2017

თბილისი

2017

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 231187168 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ფილოლოგია |
| განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ფილოლოგიის დოქტორნი (PhD in Philology) - 1005 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 180 კრედიტი |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | რამაზ ქურდაძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

| | |
|---|---|
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ირინა ლობჟანიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო პოპიაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მაკა გველესიანი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

„ფილოლოგიის" საგანმანათლებლო პროგრამა განეკუთვნება უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის პროგრამას და მისი მიზანია კურსდამთავრებულთათვის ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება. სადოქტორო პროგრამაში გაერთიანებულია ქვედარგები: ტიპოლოგიური ლინგვისტიკა და ქართული ლიტერატურა. სწავლების ენა ქართულია.

სრული სადოქტორო კურსის მოცულობა შეადგენს 180 კრედიტს. აქედან 2/3-120 კრედიტი ეთმობა კვლევით კომპონენტს, 1/3-60 კრედიტი კი - სასწავლო კომპონენტს (1 კრედიტი უტოლდება დოქტორანტის როგორც საუდიტორიო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის 25 საათს). პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 3 წელი (ექვსი სემესტრი), ერთი სემესტრი ითვალისწინებს 18 სასწავლო კვირას.

პროგრამა მომზადებულია სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ცენტრის დირექტორის ბრძანების # 770, 05.12.2017 თანახმად, 2017 წლის 13 დეკემბერს სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით: რ. ქურდაძე, ი. ლობჟანიძე, ნ. პოპიაშვილი, მ. გველესიანი.

რამდენიმე დღით ადრე, კერძოდ, 8 დეკემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (რ. ქურდაძე, ი. ლობჟანიძე, ნ. პოპიაშვილი, მ. გველესიანი) და განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები,

რომელიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან (რექტორთან, რექტორის მოადგილესთან სამეცნიერო დარგში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან). შემდეგ შედგა ინტერვიუები სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან და დამსაქმებლებთან. ვინაიდან პროგრამა აკრედიტებულია ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა მოქმედ დოქტორანტებს და იმ დოქტორებს, ვინც გაასრულა ეს პროგრამა. ვიზიტის ფარგლებში მოვახდინეთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სამკითხველოი დარბაზები, აუდიტორიები) დათვალიერება.

შეხვედრის განმავლობაში მოხდა პროგრამის, მისი შემადგენელი ნაწილებისა და ცალკეული სილაბუსების განხილვა, დაისვა ყველა ის კითხვა, რომელიც აქტუალური იყო პროგრამის შესახებ დასკვნის გამოტანის მიზნით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

„ფილოლოგიის" საგანმანათლებლო პროგრამაში გაწერილი მიზნები შეესაბამება სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას. უნივერსიტეტის ადმინისტრაციაც ყველანაირად მხარს უჭერს პროგრამის ორგანიზებასა და შემდგომ განვითარებას, რაც ჩანს პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებელი, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებული) მონაწილეობით. გარდა ამისა, სტუდენტი იღებს ყველანაირ ინფორმაციას კონსულტაციებისა და დახმარების სახით სასწავლო პროცესის დაგეგმვის

შესახებ, ხოლო დაწესებულების აკადემიური პერსონალი ითვალისწინებს სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის აუცილებლობას.

პროგრამის შედგენისას ძირითად ორიენტირად აღებული იყო კემბრიჯის, ორეგონის, მანჩესტერის და სხვა უმაღლესი სასწავლებლები, თუმცა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა მნიშვნელოვნად განსხვავდება აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლების სადოქტორო პროგრამებისაგან. პროგრამაზე მიღების წინაპირობები საჭიროებს დახვეწას განსაკუთრებით ენის ცოდნის დონის შემოწმებაზე ორიენტირებული მექანიზმი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მოსმენისა და მეტყველების შემოწმებას. გარდა ამისა, სასწავლო კურსების შინაარსი, სასწავლო მასალის ოდენობა და კრედიტების უნიფიცირებული სქემა ვერ უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნების მიღწევადობას. იმის გათვალისწინებით კი, რომ პროგრამის შედეგების მიღწევა ნაკლებად მოსალოდნელია, ბუნებრივია, კურსდამთავრებული ვერ იქნება კონკურენტუნარიანი დასაქმების ბაზარზე (საგულისხმოა, რომ ამ პროგრამის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა პროგრამის გავლამდეც დასაქმებული იყო).

გარდა ამისა, აღსანიშნავია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის დაბალი დონე, რაც არ აძლევს სტუდენტს სწავლის დროს მიღებული შედეგების გამყარებას საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების ან უცხო ქვეყნის აკადემიურ წრეებთან ურთიერთობისას, თუმცა ჩანს უნივერსიტეტის სურვილი აღნიშნული მიმართულების გაძლიერებისა. დოქტორანტები აქვეყნებენ უცხოურ ჟურნალებში სტატიებს თავისი კვლევითი ინტერესიდან გამომდინარე. პერიოდულად უცხო ენის სწავლების პროცესში მონაწილეობას იღებენ უცხოელი სპეციალისტები.

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია ამ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის

შესაძლებლობას იძლევა, თუმცა რიგ შემთხვევაში შესაძლებელია მისი დახვეწა-გაუმჯობესება.

- **რეკომენდაციები**

  - ხარისხის დაბალანსების მიზნით მოხდეს პროგრამაში ჩართული ქვედარგების გათანაბრება „ქართული ლიტერატურისა" და „ქართული ენის" ანდა "ტიპოლოგიური ლინგვისტიკისა" და "ლიტერატურათმცოდნეობის" მოდულების სახით;
  - ბოლო ვარიანტის არჩევის შემთხვევაში, თუ ტიპოლოგიური ლინგვისტიკის გვერდით წარმოდგენილი იქნება ლიტერატურათმცოდნეობა, მაშინ რეკომენდებულია ლიტერატურის ქვედარგის კურიკულუმში შეტანილი იყოს შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა და ქართული ლიტერატურის თანამედროვე პროცესები: პოსტმოდერნიზმი, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ლიტერატურული პროცესები აისახოს პროგრამის შესაბამის მოდულში;
  - მოხდეს სწავლის შედეგებსა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების ბლოკებიდან მთარგნელობითი საქმიანობის ამოღება;
  - მოხდეს პროგრამის სტრუქტურისა და მასში გაწერილი კურსების გამართვა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების განვითარების მიზნით;
  - ზოგად და პროგრამისათვის მიუღებელ კურსებს ჩაენაცვლოს პროგრამის შედეგების მისაღწევად საჭირო, ღირებული და ადეკვატური კურსები;
  - მოხდეს კვლევით მეთოდოლოგიაზე ორიენტირებული კურსების შემოღება ლიტერატურისა და ენათმეცნიერების განხრით, რომლებიც საჭიროა პროგრამის მიზნებისა და შედეგების უზრუნველყოფის მიზნით;
  - სილაბუსები გათავისუფლდეს თემატიკის დუბლირებისაგან, მაგალითისათვის დავასახელებთ შემდეგს: „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ძირითადი ასპექტები" და „ქართული საისტორიო მწერლობის ძირითადი ასპექტები" მოიცავს ერთსა და იმავე პერიოდს და, შესაბამისად, თემატურადაც ფარავს ერთმანეთს;
  - დაზუსტდეს დოქტორანტის ხვედრითი წილი ხელმძღვანელთან/სხვა თანაავტორთან გამოქვეყნებული ნაშრომის არსებობისას;

- გაუმჯობესდეს პროგრამის პრაქტიკული ასპექტი ლინგვისტური და ლიტერატურული მეთოდოლოგიის დახვეწით;
- გადაიხედოს სილაბუსები და მოყვანილი იქნეს მათი შინაარსობრივი მხარე სწავლების მესამე საფეხურის, დოქტორანტურის დონესთან;
- გადაიხედოს და გამდიდრდეს სილაბუსებში მითითებული თემატიკა და ლიტერატურა საგნისა და ქვედარგების სპეციფიკიდან გამომდინარე;
- საფუძვლების შემცველ ზოგად კურსებს ჩაენაცვლოს ქვედარგების შესაბამისი გაღრმავებული ცოდნის შეძენაზე ორიენტირებული კურსები;
- მენეჯმენტის კურსს ჩაენაცვლოს პროგრამისათვის უფრო ღირებული კურსი;
- დიგიტალური ჰუმანიტარიის მიღწევების დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით დაიხვეწოს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კურსი;
- დაზუსტდეს ფილოლოგიის დარგზე მიღების წინაპირობები;
- ჩასწორდეს უცხო ენის დონის განსაზღვრაზე ორიენტირებული ტესტი მოსმენისა და მეტყველების შემოწმების მიზნით;
- გაუმჯობესდეს სპეციალობის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის თემატიკა;
- როგორც ქვედარგებისათვის შეუსაბამო, შემცირდეს საათების რაოდენობა ენის სწავლებისა და პედაგოგიკის კურსების კუთხით;
- შეექმნას წინაპირობა კურსებს, რომლებიც საჭიროებენ უცხო ენის C2 დონეზე ცოდნას;
- გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაციის დონე ტიპოლოგიური ლინგვისტიკის კუთხით;
- გათვალისწინებული იქნეს როგორც ქართული ლიტერატურის, ასევე ლინგვისტური ტიპოლოგიის ქვედარგში არსებული უახლესი სამეცნიერო ტენდენციები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

რჩევები „ფილოლოგიის" სადოქტორო პროგრამის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით

მოიცავს შემდეგს:

- დადგინდეს და დოქტორანტებს მიეწოდოს შესაბამის სამეცნიერო ბაზებში ასახული საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალების სია;
- კურსების თემატიკისა და მეთოდოლოგიის განახლების შემთხვევაში მოხდეს შეფასების კომპონენტის გადახედვა პროგრამის მიზნების შესაბამისად;
- დამატებითი ლიტერატურის ხელმისაწვდომობის მიზნით, კიდევ უფრო გაუმჯობესდეს თანამშრომლობა აკადემიურ პერსონალსა და ბიბლიოთეკას შორის;
- მოხდეს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო დონის ამაღლება;
- სასურველია, დოქტორანტებს დაუწესდეთ შეღავათი სწავლის გადასახადზე, ან გამოიყოს ანაზღაურებადი და/ან ნაწილობრივ ანაზღაურებადი სამეცნიერო-კვლევითი მივლინების ხარჯები;
- სასურველია, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემაში აისახოს დასწრება/აქტივობის კომპონენტი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

თვითშეფასების ანგარიშის და ვიზიტის ფარგლებში მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით და აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მონაწილეობით გადაიხედა პროგრამის მიზნის შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და განხორციელდა განსაზღვრული დონის ცვლილებები კონკრეტული კურსების ფარგლებში.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

| |
|---|
| 1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია |

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია ორიენტირებულია დაინტერესებულ პირებს შესთავაზოს და მისცეს სათანადო ხარისხის, ხელმისაწვდომი უმაღლესი განათლება და წვლილი შეიტანოს პიროვნების ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზებაში, ასევე, უზრუნველყოს საქართველოს შიდაეროვნული შრომის ბაზარი დამსაქმებელთა მოთხოვნების ადეკვატური ხარისხის, სათანადო კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებით, ხოლო კურსდამთვარებულები ამავე ბაზარზე – პროფესიული კონკურენტუნარიანობით და წვლილი შეიტანოს აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფაში;
- აღნიშნული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მეცნიერი, რომელსაც ექნება არჩეული ქვემიმართულების („ტიპოლოგიური ლინგვისტიკა"; „ქართული ლიტერატურა") ფუნდამენტური ცოდნა და ახალი ცოდნის შემოქმედებითად შექმნის უნარი;
- პროგრამაში მითითებულია ორი ქვედარგი: ტიპოლოგიური ლინგვისტიკა და ქართული ლიტერატურა, რაც ქმნის ენისა და ლიტერატურის მოდულების არათანაბარ პოზიციებზე განხილვის წინაპირობას. უფრო მართებული იქნებოდა ხარისხის დაბალანსების მიზნით ფილოლოგიის სადოქტორო

პროგრამა შემდგარიყო ან „ქართული ლიტერატურისა“ და „ქართული ენის“ ან “ტიპოლოგიური ლინგვისტიკისა” და “ლიტერატურათმცოდნეობის” მოდულებისგან. საakრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაში „ქართული ენის“ ქვემიმართულების არსებობის საჭიროებას იზიარებს პროგრამაში ჩართული პერსონალის ნაწილიც, თუმცა აღნიშნავენ, რომ დღევანდელი ვითარებისა და საბაზრო მოთხოვნების გათვალისწინებით ჯობია, რომ ფილოლოგიის პროგრამაში „ქართული ლიტერატურის“ გვერდით განიხილებოდეს „ტიპოლოგიური ლინგვისტიკა“. აღნიშნული მიდგომა მისაღები იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ: განპირობებული იქნებოდა დამსაქმებლების მოთხოვნით და დასაქმების პერსპექტივით, რაც, ფაქტობრივად, ინტერვიუს დროს არ დადასტურდა. რეალურად დამსაქმებელი ითხოვდა პროფესიონალ მთარგმნელს ანდა სკოლის მასწავლებელს, რომელსაც დოქტორის ხარისხის ექნებოდა: ამასთან აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლის რესურსი ქართული ენის ქვედარგის პროგრამის განხორციელებისათვის უფრო ოპტიმალურია, ვიდრე ტიპოლოგიური ლინგვისტიკის მიმართულებით.

- სადოქტორო პროგრამის ფარგლებში ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარად მოხსენიებულია მთარგმნელობითი საქმიანობა, კერძოდ, „მთარგმნელობითი საქმიანობის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა“, რასაც პროგრამა რეალურად ვერ უზრუნველყოფს;
- პროგრამის თვითშეფასების ნაწილში სწავლის შედეგებად განხილულია: „თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რომლებიც უდავოდ, უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე“. პრაქტიკული უნარების შეძენას (ენის დოკუმენტერებას, როგორც ლინგვისტური, ასევე ლიტერატურული კორპუსების შექმნას, მონაცემების

სტატისტიკურ დამუშავებას და ა.შ.) პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული კურსები ვერ უზრუნველყოფს და, შესაბამისად, პროგრამის მიზნების მიღწევას საეჭვოს ხდის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უნივერსიტეტის დებულება, ადმინისტრაციის (ადმინისტრაციული სამსახურის) დებულება და სხვა ნორმატიული დოკუმენტები;
- წარმოდგენილი პროგრამა, პროგრამის სტრუქტურა შესაბამისი სილაბუსებით, თვითშეფასების ანგარიში, ბაზრის კვლევა და SWOT ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან და დამსაქმებელთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

- მოხდეს პროგრამაში ჩართული ქვედარგების გათანაბრება;
- მოხდეს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის ბლოკიდან მთარგმნელობითი საქმიანობის ამოღება;
- მოხდეს პროგრამის სტრუქტურისა და მასში გაწერილი კურსების გამართვა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარების მიზნით როგორც ენათმეცნიერებისა, ასევე ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულების კვლევითი კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი კურსების უმეტესობა ზოგადი ხასიათისაა, რაც არ არის საკმარისი უმაღლესი განათლების მესამე საფეხურისათვის ამ საფეხურის სპეციფიკის გამო. კერძოდ, სწავლების მესამე საფეხური, დოქტორანტურა კვლევით კომპონენტს და საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულებას გულისხმობს და რამდენად ეფექტური და მაღალხარისხიანი იქნება კვლევა, როდესაც მხოლოდ ახლა, კვლევის პროცესში და ნაშრომის შესრულებისას დოქტორანტი ეცნობა სპეციალობის საფუძვლებს, მაგ.: საანალიზო პროგრამის „ტიპოლოგიური ლინგვისტიკის" ქვემიმართულებაში მიუღებელია *„ლინგვისტური ტიპოლოგიის საფუძვლების"* სწავლება, რადგანაც ეს კურსი უფრო ადრინდელ საფეხურებზე უნდა ისწავლებოდეს. აღნიშნული მიდგომა საეჭვოს ხდის სადოქტორო პროგრამაში ასახული შედეგების მიღწევადობას, კერძოდ, სადისერტაციო ნაშრომის დაცვას, რომელიც „უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული (ემპირიული) კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს, რომელსაც წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში":
- სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული კურსების უმეტესობა არ არის ორიენტირებული ლინგვისტური და ლიტერატურული კვლევითი

მეთოდოლოგიის შესწავლაზე, რაც უნდა უზრუნველყოფდეს დოქტორანტის მიერ კვლევითი კომპონენტის შესრულებისას კვლევის გაუმჯობესებასა და შესაბამისი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას; მაგ.: „*მეცნიერული წერისა და კვლევის მეთოდების*" ზოგადი-სავალდებულო კურსი საერთოდ არ მოიცავს ინფორმაციას ლიტერატურული კვლევის მეთოდების შესახებ, ხოლო ლინგვისტური მეთოდოლოგიის მიმოხილვა მხოლოდ ორი საათით შემოიფარგლება;

- პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი მეთოდოლოგიური კურსების უმეტესობა ორიენტირებულია პედაგოგიკასა და ენის სწავლებაზე („*ენათა სწავლების თეორიები და მეთოდები*", „*სწავლების თანამედროვე მეთოდები*" *და სხვ.*), რაც სადოქტორო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკმარისი არ არის - პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მისანიჭებლად;
- საჭიროა მეტი სიზუსტით და მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით შედგეს სილაბუსები, მაგ.: „ლინგვისტური ტიპოლოგიის საფუძვლები"-ს ძირითად ლიტერატურაში ვხვდებით ქართული საენათმეცნიერო ლიტერატურის კლასიკოსის, გიორგი ახვლედიანის ცნობილ მონოგრაფიას: „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლებს", თბ., 1949, მაგრამ ეს ნაშრომი სალექციო თემების გასწვრივ საერთოდ წარმოდგენილი არ არის. მსგავსი უზუსტობანი გვხვდება სხვა საგნებშიც, რაც გასასწორებელია;
- პროგრამის სილაბუსებში დასტურდება თემატიკების დუბლირება (მაგ.: „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ძირითადი ასპექტები" შდრ.: „ქართული საისტორიო მწერლობის ძირითადი ასპექტები");
- პროგრამის კომპონენტებად განიხილება კურსები (მენეჯმენტი, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კვლევა-სწავლებაში და სხვ.), რომლებიც ქვედარგებისთვის შეუსაბამოა, ამაზე პროგრამის შეფასებისას უცხოელი

კოლეგებიც მიანიშნებენ, კერძოდ, ჯონ დორსტი თავის სარეკომენდაციო წერილში აღნიშნავს, რომ არ ესმის, თუ რისთვის სჭირდება პროგრამას მენეჯმენტის კურსი და ეჭვობს, რომ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და მეცნიერული კვლევების კურსები რეალურად ასახავენ დიგიტალური ჰუმანიტარიის მიღწევებს, რომლებიც მნიშვნელოვანია თანამედროვე კვლევის უზრუნველყოფის მიზნით;

- პროგრამით განსაზღვრული მინიმალური სტანდარტი ითვალისიწნებს მინიმუმ სამი სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნებას (ინტერნაციონალიზაციის გავლის მიზნით ერთი მაინც საერთაშორისო რეცენზირებად ან/და რეფერირებად/იმპაქტ ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში/შრომებში, ან უცხოეთის სამეცნიერო გამოცემებში), რასაც დოქტორანტები ახორციელებენ ხელმძღავნელებთან თანაავტორობით, ამ შემთხვევაში არ ხდება დოქტორანტის მიერ გაწეული სამუშაოს ადეკვატურად შეფასება, რადგან გაურკვეველია მისი ხვედრითი წილი თანაავტორის ყოლის პირობებში;
- პროგრამაში ნაკლებადაა წარმოდგენილი კვლევაზე ორიენტირებული მეთოდოლოგია როგორც ლიტერატურის, ასევე ენათმეცნიერების კუთხით, რაც დოქტორანტს სჭირდება ტიპოლოგიური კვლევების, ენის დოკუმენტირების, მონაცემების სტატისტიკური დამუშავების და ა.შ. დროს

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- წარმოდგენილი პროგრამა, პროგრამის სტრუქტურა, შესაბამისი სილაბუსებით და თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- პროგრამისათვის ზოგად და მიუღებელ კურსებს ჩაენაცვლოს პროგრამის

შედეგების მისაღწევად ღირებული და ადეკვატური კურსები: დიგიტალური ჰუმანიტარია, ჰუმანიტარული მეცნიერებების კვლევის მეთოდები, ლიტერატურის თეორია, ლიტერატურათმცოდნეობა, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა, ასევე, დარგობრივი კურსები უახლეს ქართულ ლიტერატურასა და ენათმეცნიერებაში;

- მოხდეს კვლევით მეთოდოლოგიაზე ორიენტირებული კურსების შემოღება;
- გადაიხედოს და გამდიდრდეს სილაბუსებში მითითებული თემატიკა და ლიტერატურა საგნისა და ქვედარგების სპეციფიკიდან გამომდინარე;
- სილაბუსები გათავისუფლდეს თემატიკის დუბლირებისაგან, კერძოდ, „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ძირითადი ასპექტები" და „ქართული საისტორიო მწერლობის ძირითადი ასპექტები" მოიცავს ერთსა და იმავე პერიოდს და, შესაბამისად, თემატურად ფარავს ერთმანეთს;
- დაზუსტდეს დოქტორანტის ხვედრითი წილი ხელმძღვანელთან/სხვა თანაავტორთან გამოქვეყნებული ნაშრომის არსებობისას;
- როგორც ქვედარგებისათვის შეუსაბამო, შემცირდეს საათების რაოდენობა ენის სწავლებისა და პედაგოგიკის კურსების კუთხით;
- დაემატოს კვლევაზე ორიენტირებული მეთოდოლოგია პროგრამაში ლიტერატურის და ლინგვისტიკის განხრით;
- მენეჯმენტის კურსს ჩაენაცვლოს პროგრამისათვის უფრო ღირებული კურსი;
- დიგიტალური ჰუმანიტარიის მიღწევების დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით დაიხვეწოს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კურსი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ლიტერატურის ქვედარგის კურიკულუმში შეტანილი იყოს შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა, კომპარატივისტული კვლევები.
- სასურველია, ქართული ლიტერატურის თანამედროვე პროცესები: პოსტმოდერნიზმი, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ლიტერატურული პროცესები აისახოს პროგრამის შესაბამის მოდულში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- როგორც პროგრამაში, ისე ცალკეული სალექციო კურსების სილაბუსებში დასახული მიზნების მიღწევა პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული როგორც სასწავლო, ასევე სამეცნიერო კომპონენტების ერთობლიობით მხოლოდ ნაწილობრივაა შესაძლებელი. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, ის ძირითადი შედეგები, რომლებზე გასვლაც უზრუნველყოფს შესაბამისი დარგის კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებას კომპონენტების ერთობლიობის ჭრილში არ არის სათანადო დონეზე მიღწევადი;
- პროგრამით განსაზღვრულ მინიმალური სტანდარტის ბლოკში აღნიშნულია, რომ დოქტორანტს სჭირდება სამი სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება და ინტერნაციონალიზაციის გავლის მიზნით ერთი მაინც საერთაშორისო რეცენზირებად ან/და რეფერირებად/იმპაქტ ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში/შრომებში, ან უცხოეთის სამეცნიერო გამოცემებში, თუმცა არ არის აღნიშნული რა პრინციპით ხდება აღნიშნული ჟურნალების შერჩევა. პროგრამის

დოკუმენტაციასაც არ ერთვის ასეთი ჟურნალების სია.

○

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- წარმოდგენილი პროგრამა, პროგრამის სტრუქტურა, შესაბამისი სილაბუსებით და თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- დაიხვეწოს პროგრამის კვლევით უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებული ნაწილი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- დადგინდეს და დოქტორანტებს მიეწოდოს შესაბამის სამეცნიერო ბაზებში ასახული საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალების სია.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამაში არსებული კურსები შინაარსობრივი დონისა და მითითებული ლიტერატურის მიხედვით სრულყოფილად ვერ პასუხობს განათლების მესამე საფეხურის, დოქტორანტურის დონეს;
- პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე და კონკრეტული კურსების აღწერილობიდან ვლინდება, რომ აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებული მხოლოდ ნაწილობრივ დააკმყოფილებს დასაქმების ბაზრის მოთხოვნას რაც გამოწვეული იქნება როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტის სისუსტით;
- პროგრამის სწავლის შედეგებში აღნიშნული მთარგმნელობითი საქმიანობა არ არის პროგრამის დარგის შემადგენელი ნაწილი და ამიტომ ამ მიმართულებით პროგრამა ვერ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტურიანობას დასაქმების ბაზარზე; რადგანაც პროგრამაში შემოთავაზებული ინგლისური ენის C2-ისა და თარგმნის ლინგვისტიკის კურსები არ არის საკმარისი მთარგმნელობითი კომპეტენციების შესაძენად, კერძოდ ისეთი კომპეტენციებისა, როგორიცაა: „მთარგმნელობითი მომსახურების უზრუნველყოფის, ენობრივი, კულტურათაშორისი, დარგობრივი, ინფორმაციის მოძიებისა და ტექნოლოგიური კომპეტენციები" EMT სტანდარტის მიხედვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- წარმოდგენილი პროგრამა, პროგრამის სტრუქტურა შესაბამისი სილაბუსებით, თვითშეფასების ანგარიში, ბაზრის კვლევა და SWOT ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და

დამსაქმებელთან

რეკომენდაციები:

- გაუმჯობესდეს პროგრამის პრაქტიკული ასპექტი ლინგვისტური და ლიტერატურული მეთოდოლოგიის დახვეწით;
- გაუმჯობესდეს სილაბუსები და მოყვანილი იქნეს მათი შინაარსობრივი მხარე სწავლების მესამე საფეხურის, დოქტორანტურის დონესთან;
- საფუძვლების შემცველ ზოგად კურსებს ჩაენაცვლოს ქვედარგების შესაბამისი გაღრმავებული ცოდნის შეძენაზე ორიენტირებული კურსები;
- სწავლის შედეგებში აღნიშნული მთარგმნელობითი საქმიანობა ამოღებულ იქნას პროგრამიდან

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- დამსაქმებელთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ სასწავლო პროგრამის შემდგენლები თანამშრომლობდნენ პოტენციურ დამსაქმებელთან და ზოგ შემთხვევაში ითვალისწინებდნენ მათ რჩევებს;
- პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელები, რომლებიც ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით ჩართულნი იყვნენ პროგრამის შედგენაში და მუშაობის პროცესში ხვდებოდნენ და უწევდნენ კოორდინირებას აკადემიურ პერსონალსა და ხარისხის სამსახურს. შესაბამისად, პროგრამა არ წარმოადგენს მხოლოდ მათ ხედვას, არამედ ერთობლივი შრომის შედეგია;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ პროგრამაზე მუშაობისას პერიოდულად უკავშირდებოდნენ როგორც დამსაქმებელს, ასევე უცხოელ კოლეგებსაც და ითვალისწინებდნენ მათ შენიშვნებს, რაც დასტურდება გამოხმაურებებით. თუმცა უცხოელი კოლეგის მოსაზრება, პროგრამისათვის მენეჯმენტის კურსის უმართებულობისა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კურსის შეუსაბამობასთან დაკავშირებით გათვალისწინებული არ იქნა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- წარმოდგენილი პროგრამა, პროგრამის სტრუქტურა შესაბამისი სილაბუსებით, თვითშეფასების ანგარიში, ბაზრის კვლევა;
- დამსაქმებელთან გაფორმებული მემორანდუმები;
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებელთან.

რეკომენდაციები:

-

| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
|---|
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | X |

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

| 2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც |
|---|

ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- CAE-ს და სხვა ფორმატები მოიცავენ: კითხვას, წერას, მოსმენასა და მეტყველებას. ტესტში წარმოდგენილი ინფორმაცია ეხება მხოლოდ კითხვასა და წერას, რაც არ არის საკმარისი C1 დონის გამოსავლენად. მსგავსი მდგომარეობაა სხვა ენებშიც. შესაბამისად, აღნიშნული უცხო ენის გამოცდა არ უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას;
- ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაში წინაპირობების ნაწილში არ არის განსაზღვრული ქვედარგის და/ან ქვედარგების წინასწარი ცოდნა. კერძოდ, წინა საფეხურზე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და/ან ფილოლოგიის მომიჯნავე დარგებში მიღებული ცოდნა და კვალიფიკაცია, თუმცა პროგრამისათვის საჭირო ცოდნის შემოწმება ხდება შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით; აღვნიშნავთ, მხოლოდ, რომ შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის თემატიკა და საგამოცდო საკითხები საჭიროებს გადახედვას, რადგანაც არ ატარებს კომპლექსურ ხასიათს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- წარმოდგენილი პროგრამა, პროგრამის სტრუქტურა, შესაბამისი სილაბუსებით და თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- ჩასწორდეს უცხო ენის დონის განსაზღვრაზე ორიენტირებული ტესტი მოსმენისა და მეტყველების შემოწმების მიზნით;
- გაუმჯობესდეს სპეციალობის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის თემატიკა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- დაზუსტდეს ფილოლოგიის დარგზე მიღების წინაპირობები.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- სწავლის შედეგების მისაღწევად სტუდენტისთვის ცოდნის გადაცემა ხდება სხვადასხვა მეთოდით/საშუალებით: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვა. მეთოდები მოიცავს შესაბამის ფორმებს/აქტივობებს: დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, რეფერატი, სემინარი და სხვა. აღნიშნული მეთოდების ერთობლიობა გამოიყენება სწავლება-სწავლის უზრუნველყოფის მიზნით კონკრეტული კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, თუმცა აღსანიშნავია, რომ სილაბუსების უმეტესობას ახლავს ინფორმაცია ელექტრონული სწავლების შესახებ, რომელსაც პროგრამა კონკრეტული კურსების ფარგლებში არ უზრუნველყოფს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- წარმოდგენილი პროგრამა, პროგრამის სტრუქტურა, შესაბამისი სილაბუსებით და თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სილაბუსებში მითითებული სწავლების მეთოდები შეესაბამებოდეს კურსების სპეციფიკას;
- ელექტრონული სწავლების ფორმატი დარჩეს მხოლოდ იმ კურსების ფარგლებში, რომლებსაც შეეძლებათ რეალურად უზრუნველყონ იგი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების კომპონენტები, ძირითადად, თანმიმდევრულია და დაშვება შემდგომ კომპონენტებზე ლოგიკურია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ხდება სასწავლო კურსების თემატიკების დუბლირება

(იხ. ზემოთ 1.2);

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მითითებულია უცხო ენის C1 დონე, მაშინ, როცა კურსების ჩამონათვალში, კერძოდ, C2 ინგლისური ენის სილაბუსი ითხოვს C2 დონის ცოდნას, რაც არ არის ლოგიკური.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- წარმოდგენილი პროგრამა, პროგრამის სტრუქტურა შესაბამისი სილაბუსებით და თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

- თავიდან იყოს აცილებული კურსების თემატიკის შინაარსობრივი დუბლირება;
- შეექმნას წინაპირობა კურსებს, რონლებიც საჭიროებენ უცხო ენის C2 დონეზე ცოდნას

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის

შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების თანახმად;
- პროგრამის თითოეულ კომპონენტში გამოიყენება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რომლის თანახმად სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს. სილაბუსში წარმოდგენილი სტუდენტთა შეფასების სისტემა უნიფიცირებულია და, ძირითადად, მოიცავს სტუდენტების შუალედურ და დასკვნით შეფასებებს:
- სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც შუალედურ შეფასებას ეთმობა მინიმუმ 30 და მაქსიმუმ 60 ქულა და დასკვნით გამოცდას - მინიმუმ 21 და მაქსიმუმ 40 ქულა. შუალედური შეფასების ფორმაა ანალიტიკური რეფერატების მომზადება და პრეზენტაციის სახით მათი წარმოდგენა, ხოლო დასკვნითი შეფასებების კომპონენტია: ერითი გამოცდა. თითოეულ კომპონენტში გამოსაყენებელი შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი ასახულია სასწავლო კურსის სილაბუსში.

**მტკიცებულებები /ინდიკატორები**

- წარმოდგენილი პროგრამა, პროგრამის სტრუქტურა, შესაბამისი სილაბუსებით და თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემაში აისახოს დასწრება/აქტივობის კომპონენტი.

| |
|---|
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ |
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>○ პროგრამის ყველა სილაბუსში, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, განსაზღვრულია სტუდენტის შეფასების კრიტერიუმი;<br><br>○ შეფასების კრიტერიუმის საბოლოო დადგენა ხდება შესაბამისი სილაბუსის ავტორ(ებ)ის მიერ და, შესაბამისად, თვითონ კრიტერიუმში გაწერილი სტრუქტურაც სილაბუსების მიხედვით განსხვავებულია;<br><br>○ სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება შემდეგ კომპონენტებზე დაყრდნობით: სადისერტაციო თემის აქტუალობა, ნაშრომის მეცნიერული სიახლე, დასმული პრობლემის გადაწყვეტის ადეკვატურობა, ნაშრომის სტრუქტურა, პრეზენტაციის ტექნიკურ-ორგანიზაციული მხარე და დოქტორანტის მიერ კითხვებზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა. სადისერტაციო ნაშრომი სრულდება მე-2 - მე-6 სემესტრების განმავლობაში და მთავრდება საჯარო დაცვით (120 კრედიტი). პროგრამაში მითითებული |

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მინიმალური სტანდარტი გამჭვირვალეა და ლოგიკური;

- სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმით ვლინდება, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს არა მხოლოდ სტუდენტებმა, არამედ კურსდამთავრებულებმაც არა ერთხელ აღნიშნეს, რომ იღებენ/იღებდნენ უკუკავშირს მიღწეული შედეგების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- წარმოდგენილი პროგრამა, პროგრამის სტრუქტურა, შესაბამისი სილაბუსებით და თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კურსების თემატიკისა და მეთოდოლოგიის განახლების შემთხვევაში მოხდეს შეფასების კომპონენტის გადახედვა პროგრამის მიზნების მისაღწევად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| |
|---|
| |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | |

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

| 3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>○ მოქმედ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს აქვთ ინფორმაცია აღნიშნული პროგრამის შესახებ;<br>○ მოქმედ სტუდენტებს აქვთ სურვილი აღნიშნული მიმართულებით სწავლის გაგრძელებისა;<br>○ სტუდენტებს უწევთ სასწავლო უნივერსიტეტის პორტალის გამოყენება, რომელიც აძლევს მათ შეფასებებისა და დღის განრიგის ნახვის შესაძლებლობას. სტუდენტების ნათქვამიდან აშკარაა, რომ პროგრამის |

განმახორციელებელი პერსონალი ყოვლემხრივ უწყობს ხელს მათ პროფილის განსაზღვრაში, სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და კონსულტაციების ორგანიზება-ჩატარებაში.

○

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ექსპერტთა ჯგუფის მიერ პორტალის ადგილზე დათვალიერება;
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აკადემიური პერსონალის მუშაობის გრაფიკი ითვალისწინებს სტუდენტებთან განსაზღვრულ საათებში წინასწარ შეთანხმებულ ინდივიდუალურ მუშაობასა და კომუნიკაციას ტელეფონისა და ელ. ფოსტის გამოყენებით. ამასთანავე, სტუდენტთა განცხადებით, დოქტორანტთა შეხვედრა ხელმძღვანელებთან მიმდინარეობს ინტენსიურად, საჭიროებიდან გამომდინარე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- წარმოდგენილი პროგრამა, თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- თვითშეფასების ანგარიშიდან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრებით ვლინდება, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში, თუმცა პროექტების ნაკლებობის გამო აღნიშნული აქტივობა ჯეროვან დონეზე ვერ ვლინდება. სტუდენტთა განცხადებით, უმეტეს შემთხვევაში, მათ აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო კონფერენციებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე: აწვდის დოქტორანტებს ინფორმაციას და კურირებს ინტერნაციონალიზაციის საკითხებს;
- ინტერნაციონალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით შევნიშნავთ, რომ სადისერტაციო ნაშრომებში მითითებული სტატიები არ არის დაბეჭდილი მაღალრეიტინგულ იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში (დაწვრილებით იხ. 1.3.);
- გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ საერთაშორისო კუთხით თანამშრომლობის გაღრმავებას გარკვეული სირთულეები ახლავს, ასევე, ჭირს საერთაშორისო საგრანტო პროექტებში მონაწილეობაც, თუმცა უნივერსიტეტი და ფაკულტეტი მუშაობს ამ მიმართულებით. კერძოდ, ცდილობენ საგრანტო პროექტების მოპოვებას შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით. სტუდენტები და კურსდამთავრებულებიც აღნიშნავენ, რომ ისინი ინფორმირებულები

არიან საგრანტო/სასტიპენდიო პროგრამების შესახებ, აქვთ წვდომა საერთაშორისო მონაცემთა ბაზებზე და შეუძლიათ შესაბამის კონკურსებში მონაწილეობის მიღება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

- გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაციის დონე ტიპოლოგიური ლინგვისტიკის კუთხით;
- გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაციის დონე ქართული ლიტერატურის მოდულისათვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მოხდეს სტუდენტთა საერთაშორისო მივლინება/სტაჟირება საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში;
- შეიქმნას ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის შესასრულებლად შესაბამისი საერთაშორისო რეცენზირებადი გამოცემების სარეკომენდაციო სია.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

| |
|---|
| 4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>○ უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი უზრუნველყოფს აღნიშნულ პროგრამის განხორციელებას საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. სასწავლო აუდიტორიები განლაგებულია უნივერსიტეტის კორპუსში, უზრუნველყოფილია ინვენტარით, ელექტროენერგიის მიწოდების სისტემით, სველი წერტილებით, ცენტრალური გათბობით. უსაფრთხოების დაცვის მიზნით კორპუსში განლაგებულია ხანძარსაწინააღმდეგო ონკანები, გამოკრულია ევაკუაციის გეგმები, უნივერსიტეტს აქვს სამედიცინო პუნქტი. მეორე კორპუსში განლაგებულია უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა;<br>○ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა. ასევე, სტუდენტებს |

შეუძლიათ ისარგებლონ ელექტრონული რესურსებით, რომლებზეც წვდომას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ახორციელებს და რომელსაც აქტიურად იყენებენ დისერტაციებზე მუშაობის დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

გაუმჯობესდეს თანამშრომლობა აკადემიურ პერსონალსა და ბიბლიოთეკას შორის. დამატებითი ლიტერატურის ხელმისაწვდომობის მიზნით

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში -

შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 5 სრული პროფესორი, 7 ასოცირებული და 2 მოწვეული დოქტორი. როგორც წარმოდგენილი CV-ით, ისე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით გამოიკვეთა პროგრამაში შემავალი კომპონენტების განმახორციელებელი პირები ფლობენ სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს, პერიოდულად მონაწილეობენ სხვადასხვა კონფერენციაში და აქვეყნებენ სამეცნიერო სტატიებს. გარდა ამისა, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა საკმარისია პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკადემიური პერსონალის CV-ები;
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მოხდეს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო დონის ამაღლება საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობით

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ფაკულტეტის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესი განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით და მიმართულია უნივერსიტეტის მისიის განხორციელებისკენ;
- ადმინისტრაციის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ბიბლიოთეკა და ა.შ. მხარს უჭერს პროგრამის განხორციელებას

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ნორმატიული დოკუმენტაცია;
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ხოლო დამატებითი ლიტერატურა მიეწოდება სტუდენტებს, უშუალოდ, სწავლის პროცესში;
- სტუდენტები, ასევე, იღებენ ინფორმაციას ელექტრონული რესურსების გამოყენების შესახებ;
- როგორც ქართული ლიტერატურის, ასევე ლინგვისტური ტიპოლოგიის

ქვედარგში უახლესი სამეცნიერო ტენდენციები გაზიარებული არ არის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურის დათვალიერება;
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

გათვალისწინებული იქნეს როგორც ქართული ლიტერატურის, ასევე ლინგვისტური ტიპოლოგიის ქვედარგში უახლესი სამეცნიერო ტენდენციები.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა ხდება უნივერსიტეტის მიერ მიღებული შემოსავლების და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და ნებადართული სხვა სახსრების გამოყენებით;
- უნივერსიტეტს გააჩნია სათანადო ფინანსური რესურსი აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ნორმატიული აქტები და თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია დოქტორანტებს დაუწესდეთ შეღავათი სწავლის გადასახადზე, ან შემუშვდეს ანაზღაურებადი და/ან ნაწილობრივ ანაზღაურებადი სამეცნიერო-კვლევითი მივლინების ხარჯები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|---|
| არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

| |
|---|
| 5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლს |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>○ უნივერსიტეტშიც ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ჩართულია როგორც სასწავლო პროგრამების და სილაბუსების შემუშავების და სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ისე მიმდინარე პროცესების მონიტორინგის, შედეგების ანალიზის და სამომავლო რეკომენდაციების შემუშავების პროცესში და რომლის მუშაობაც განსაზღვრულია სამსახურის დებულებით;<br>○ უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების |

| |
|---|
| უზრუნველყოფის წესი და ყველა პროგრამა იქმნება შესაბამისი პროცედურების მიხედვით. ხარისხის სამსახური ახორციელებს სალექციო პროცესის მონიტორინგს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br>○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;<br>○ ინტერვიუს შედეგები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან |
| რეკომენდაციები: |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| შეფასება<br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად |

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების შიდა შეფასება ხდება შემუშავებული ფორმებისა და კრიტერიუმების გამოყენებით. შემოთავაზებულ პროგრამას, ასევე, აფასებდნენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები;
- გარეშეფასება მოახდინეს უცხოელმა კოლეგებმა, თუმცა მათი რეკომენდაციები სრულყოფილად არ იქნა გათვალისწინებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | |

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფილოლოგია

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 49

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | |
| საბოლოო შეფასება | | X | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:** იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:** ფილოლოგია

**დასკვნის გვერდების რაოდენობა: 49**

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | X |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | |
| საბოლოო შეფასება | | X | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: